სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

04 სექტემბერი 2025

N 477/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ 2024 წლის 6 დეკემბრის N2-866 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2025 წლის 21 აგვისტოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „მუბაგი“-მ და შპს „ნემერა“-მ და ითხოვეს შპს „მუბაგი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვით გაცემული 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 9 000 კგ; R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 1 000 კგ; R410A (HFC-32/HFC-125) – 9 000 კგ; R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 1 000 კგ; დიფთორმეთანი (HFC-32) – 5 000 კგ-ის ოდენობებით იმპორტის ნებართვის შპს „ნემერა“-ზე გადაცემა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის, შპს „მუბაგი“-ს და შპს „ნემერა“-ს 2025 წლის 21 აგვისტოს N8118 ერთობლივი განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „შპს „ნემერა“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის შესახებ“ 2024 წლის 6 დეკემბრის N2-866 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გაიცეს შპს „ნემერა“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 205206588) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერებების იმპორტისათვის შესაბამისი ოდენობით:

ა) 1,1,1,2 ტეტრაფთორეთანი (HFC-134a) – 9 000 კგ;

ბ) R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 1 003.5 კგ;

გ) R410A (HFC-32/HFC-125) – 9 010.9კგ;

დ) დიფთორმეთანი (HFC-32) – 5 000კგ;

ე) R449A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/HFO-1234YF) – 5.5 კგ;

ვ) R448A (HFC-32/HFC-125/ HFC-134a/HFO-1234YF/HFO-1234ZE) – 2.8 კგ;

ზ) R407C (HFC-32/ HFC-125/HFC-134a) – 1 000 კგ;

თ) ქლორდიფტორმეთანი (HCFC-22) – 1.6 კგ.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნემერა“-ს;

3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნემერა“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/477-21-4-202509041741

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE